წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

სამშაბათი, 9 აგვისტო

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:**
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშემოსულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭვდა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 424 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 424

ქვრივი ელისაბედ დავითის ასული, შვილები: დავით, ლიუდმილა და ნინო ივლიანეს ძე და ასულნი, რძალი ანნა ალექსანდრეს ასული სურგულაძეები, სიძეები, კოლეჟსკი სოვეტნიკი ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე თოფურიძე და გამომძიებელი ნიკოლოზ აგიას ძე ავშაროვი, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი ქმრისას, მეორენი დაუვიწყარი მამისას და მამამთილისას, მესამენი საყვარელი სიმამრისას.

ნადვორნი სოვეტნიკის ივლიანე ივანეს ძე სურგულაძის,

გარდაცვალებას რომლის დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს ათს აგვისტოს დილის 12 საათზე სოფელ ნიგოითში ოზურგეთის მაზრა

273 1—1

ღრმათ შეწუხებულნი ცოლი, ქალიშვილი, ძმა და სიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ უდროვოთ ამა წლის 5 აგვისტოს ტრაღიკულათ გარდაიცვალა

თავ. არჩილ სიმონის ძე მიქელაძე,

დაკრძალვა მოხდება 11 აგვისტოს დღით ხუთშაბათს დილის 9 საათზე სოფელ კულაშში.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 8 აგვისტოდან ახალი პროგრამა:

სიყვარულის ოინები.

უცნობს ნაამბობი.

ა. პ. ჩეხოვის მოთხრობიდან. 4 ნაწილად მ. ა. ჩერნოვის და გ. ველანდის მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 4 აგვისტოდან ახალი პროგრამა.

მხოლოდ მოზრდილთათვის

მისი აღმატებულების საყვარელი

ნეპეროვსკაიას, გედევანოვას, პავლოვის და ბაშილოვის მონაწილეობით.

ქრონიკა ომიდან. მიმდინარე ამბები.

# განცხადება.

**მესაჭიროება მუშები** ხარ-კამეჩ-ურმით ყარსის რკინის გზაზე სამუშაოთ. **ლურჯი და წითელ ბილეთიანები თავისუფლდებიან სამხედრო ბეგარისაგან.** საჭიროა ჩაწერა 12—13 აგვისტომდე. ადრესი: ქუთაისი „ერმიტაჟის“ ნომრები, თფილისის ქუჩაზე. დაწვრილებით სამუშაოს პირობები შემუშავებულია „დოგოვორში“ რომელსაც ჩაწერის დროს გავაცნობ. მსურველებს უღელ ხარიანს ეძლევა თვეში 140 მანეთი, უღელ კამეჩიანს—180 მ. ნახევარი მიეცემათ აქვე.

ტრანსპორტის მომწყობი **პეტრე პლატონის ძე საყვარელიძე.**

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. ხინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ჩ-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ა. მ. **ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** ურჩის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** ი. **ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი: **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**

პრივატდოცენტი

ვ. პ. **მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 გიმნაზიის ქუჩა № 6 თ.

# განცხადება.

ბათუმ-ტრაპიზონის სამხედრო რკინის გზის მიწის სამუშაოების შემსრულებელი ს. ს. ასათიანი ჰკრებს მუშებს თანახმად მთავრობისაგან მოცემული მოწმობებისა. წითელ და ლურჯ ბილეთიანი მუშები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. მუშების ჩაწერა მოხდება მხოლოდ 9, 10 და 11 პარიამობისთვეს. მუშებმა უნდა წარმოადგინონ ცნობები, რომელ წლის მოლაშქრე არიან. ავათმყოფები არ მიიღებიან. ჩაწერა შეიძლება ჭავჭავაძის ქუჩაზე სერგო მახარაძის საკანდიტეროს ქარხანაში.

272 1—1

**იძლევა იჯარით** ჩემ მიერ იჯარით აღებული

საღორიის აგარაკზე **სავენახე მიწა** ორასი კვად. საჟენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

პირობების გაგება შეიძლება პ. ფერაძის სტამბაში,

# იყიდება

ქ. ქუთაისში, სტეფანე ფეიქაროვის სავაჭროში, ყურძნის საქაჩავი და ყურძნის საწური. ვურჩევთ სოფლის ბანკებს და კოოპერატივებს შეიძინონ გასავრცელებლად სოფლის მეურნეთა შორის ზემოხსენებული საქაჩავი, ვინაიდგან იგი დიდ დახმარებას გაუწევს მათ მუშა ხელის ნაკლებობის გამო. თ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

— —

იაპონიის სამხედრო მისია, რომელიც რუსეთში იმყოფებოდა სხვადასხვა სამხედრო საქმეთა გამო, მოსკოვიდან უკანვე დაბრუნდა.

— —

გერმანელებმა ახალი კანონი შეიმუშავეს ფარულად საქონლის შესახებ, რამაც დიდი უსიამოვნობა გამოიწვია შვეციაში, ნორვეგიასა და დანიაში. ამ სამმა სახელმწიფომ დაავალა თავიანთ ელჩებს პროტესტის გამოცხადება გერმანიისადმი.

— —

ამ დღეებში მოელიან მანიფესტს პოლონეთის შესახებ, სადაც დაწვრილებით იქნება ნათქვამი თუ როგორ მოეწყობა პოლონელთა ახალი ცხოვრება. ინგლისელები მანიფესტს იქვის თვალით უცქერიან.

— —

ბელგიელთა ეროვნულმა კომიტეტმა უარი განაცხადა გერმანელთა წინადადებაზე, სადაც უკანასკნელნი სთხოვდენ 480 მილიონ ოქროს ფულის გერმანიის ბანკში გადატანას.

— —

რუმინიის სამხედრო მინისტრის ბრძანებით დათხოვნილ-იქმნენ ყველა უცხო ეროვნების მუშები, რომელნიც ტყვია-წამალთა დასამზადებელი ქარხნებში მუშაობდნენ.

— —

ისპანიის პრემიერ-მინისტრ-რომანონესსა და ავსტრიის ელჩს ამ ბოლო დროს ჰქონიათ რაღაც საიდუმლო ხანგრძლივი საუბარი.

— —

ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა შეიდემანმა მრავალრიცხოვანი ხალხის თანადასწრებით წარმოსთქვა სიტყვა. შეიდემანის აზრით ზავი სასურველია, მაგრამ ჯერ მაინც ბრძოლაა საჭირო.

— —

გერმანიის კანცლერი ბერლინში დაბრუნდა და ვილჰელმს ანგარიში წარუდგინა ვენაში მომხდარი საქმეების შესახებ, რომელიც პოლონელთა სვე-ბედს ეხება.

— —

ინგლისის მინის მატარებელი გემის „ლასოს“ დაღუპვის მიზეზი ჯერ კარგად არ არის გამორკვეული.

— —

რუსეთის ასპარეზზე დაპყრობილ ადგილებში დათესილ პურს კარგი პირი უჩანს გერმანელები უკვე შეუდგნენ პირნახულის შეგროვებას.

— —

გერმანელები ყოველგვარ სამუშევერს ტყვეებს ასრულებინებენ და თავიანთი მუშები კი ჯარში მიჰყავთ.

— —

გერმანელების ბრძანებით აღკრძალულია რუსეთის ტყვეებთან ბელგეთის მცხოვრებთა ლაპარაკ-დამოკიდებულება.

— —

13 აგვისტოს პეტროგრადს ესტუმრება იაპონიის პარლამენტის დელეგაცია, სხვა და სხვა პოლიტიკურ საქმეების გამო. დელეგაცია პეტროგრადში სულ 10 დღეს დაჰყოფს და შემდეგ მოსკოვს გაემგზავრება.

— —

გერმანელები აღნიშნავენ რუსეთის მძლავრ შეტევას რომელმაც მათი აზრით საშუალება მისცა იტალიელებს ფართო იერიშების დაწყებისა. პოლკოვნიკი მორატი განიხილავს რა გენ. ბრუსილოვის გეგმას დასძენს რომ თუ ეს გეგმა განხორციელდა მაშინ საქმე მეტის-მეტად გაძნელდებაო

— —

ბერლინიდან იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მაიორ გერმან-ფრებენიუსიო ფრებენიუსი ცნობილია როგორც საზოგადო მოღვაწე სხვა მრავალ ნაწერებთა შორის მის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი „წიგნაკი 1913“ წელს გამოცემული სადაც ამტკიცებდა რომ გერმანიის საკეთილ დღეოთ საჭიროა ფართო სამხედრო მასალების დამამზადებელ ქარხნების მოწყობა და სამხედრო საქმის უმაღლესს წერტილამდის მიყვანაო. ამ წიგნაკმა დიდი ჩოჩქოლი გამოიწვია გერმანიაში ფრებნიუსის აზრს მრავალი გამოჩენილი მოღვაწე მიემხრო. სხვათა შორის კრონ პრინცი ფრიდრიხ-ვილჰელმი, რომელმაც ავტორს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა

— —

ბერლინიდან მიღებულ ცნობის მიხედვით სალონიკში მყოფ ჯარს მალე მიემატება რუსის მაშველი ჯარი.

— —

ომში გმირულად მოკლულ კორნეტ ვახტანგ ამილახვარის შესახებ საოცარი ხმები დადის ამბობენ რომ მას ხელით აუკუწავს შეტაკების დროს 18 ავსტრიელი მტრის რაზმის შუაგულში მოქცეულმა ის თორმეტ ადგილას დასჭრეს თურმე ხელ-ჩარეულ ჩხუბში მაგრამ მაინც ლომივით იბრძოდა ვიდრე ტყვიით განგმირეს გული.

## ქართული პრესა.

გაზეთი „საქართველო“ საქართველოს ეკლესიის შესახებ სწერს:

რუსეთის სატახტო პრესა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე ალაპარაკდა. იგი ირწმუნება, უწმინდესი სინოდისა და სამინისტროს გავლენიანი წრეების ყურადღება დღეს საგანგებოდ შეჩერებულია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზედ. ობერპროკურორის ვოლჟინის საქართველოში ჩამოსვლასაც სწორედ ამას უკავშირებენ. ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს დიდი ხნის წარსული აქვს. მდიდარი და ძვირფასი მასალაც დაგროვდა ამის თაობაზე.

ამ მასალის შესწავლიდან აშკარად სჩანს იმ აქტის უკანონობა, რომელმაც საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გვირგვინი მოხადა.

ვინც ამ მასალასა და საქართველოს ეკლესიის ტკივილებს ახლოს გასცნობია, იმას ერთად ერთი რწმენა გამოუტანია, რომ შეუძლებელი იყო საქართველოს ეკლესიის აღდგენა ავტოკეფალიის გარეშე.

ეს კარგად უწყოდენ იმათ ვისზედაც დამოკიდებული იყო თვით ჩვენი ეკლესიის ბედი. მაგამ დღემდე საჭიროდ არ უცვნიათ ქართული ეკლესიის კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და საკითხი დაგიწყებას მიეცა.

დღეს მმართველ წრეებში კვლავ გაიღვიძა ინტერესმა ქართულ ეკლესიისადმი. ჩვენ არ ვიცით, თუ რომელმა გარემოებამ დაატანა მათ ძალა. არ ვიცით, თუ ვის რა მოტივი ამოქმედებს. ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ქართველი საზოგადოება მხოლოდ იმით არის დაინტერესებული, რომ ქართულ ეკლესიას დაუბრუნდეს თავისი უფლება და ქონება. ქართული ეკლესია რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში მთელი ერის სულიერ მოძღვრებას ეწოდა, უფლების დაბრუნებას მოელის, რომ ქართველთა დაცემული სარწმუნოება კვლავ აღადგინოს და განაცხოველოს. ჩვენი ქვეყნის დიდი ეროვნული საკითხი კვლავ გადაიქცა მართველ წრეების ბჭობის საგნად. ქართველმა მრევლმა ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს და თავის მხრით ყოველი ღონე იღონოს, რომ ეს საკითხი დღეს მაინც ეღირსოს კანონიერ გადაწყვეტილებას.

# ახალი ამბავი.

---

✦ ქსელმოქმედის გარდაცვალება. თბილისიდან დეპეშამ ფრიად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა—გარდაიცვალა ცნობილი ქველმოქმედი ქალი ეკატერინა ივანეს ასული სარაჯიშვილისა. განსვენებულმა ქალაქ ქუთაისს შესწირა ასორმოცდაათი ათასი მანეთი. ამის შესახებ ქალაქის გამგეობაში შეიკრიბენ ხმოსნები და მსჯელობა იქონიეს განსვენებულის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებათ

✦ დღიურები. მეოთხე რაიონის მასწავლებლებს უკვე დაურიგდათ დღიურები დღეში 80 კაპიკი სულ რვა თვის. გარდა ამისა ისინი დღიურების მიიღებენ ჯამაგირის მომატებას თვეში თითო თუმანს.

✦ მასწავლებელთა კურსებზე. კვირას, 7 აგვისტოს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის შენობაში გაიხსნა სამასწავლებლო მეთოდიკური კურსები. დილის 12 საათზე გადახდილ იქნა პარაკლისი რის შემდეგაც სახალხო შკოლების დირექტორი ვიშნევსკი მიესალმა შეკრებილ მასწავლებლებს და უსურვა მათ ნაყოფიერი მუშაობა. კურსების ხელმძღვანელათ დანიშნულია მეოთხე რაიონის ინსპექტორი ბ პეტროვი. ლექტორებათ მოწვეული არიან ცნობილი ბოტანიკოსი სოსნოვსკი, გეოლოგი მიშჩენკო მიუნცი, გ ნიორაძე. არქეოლოგიის შესახებ ლექციების წასაკითხათ მოწვეულია ტრ. მ. ჯაფარიძე მასწავლებლებს ბინა მიეცათ გიმნაზიის სადგომში. განზრახულია ამ მოკლე ხანში მოაწყონ რამოდენიმე გეოლოგიური ექსკურსია გელათის მონასტრისაკენ კურსები გაგრძელდება სამ კვირამდე.

✦ გადაყვანა ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწე პროკოფი მესხი დაინიშნა ქ. ბაქოს ბოქაულათ.

✦ ცეცხლი. პარასკევს 5 აგვისტოს დილით გუბერნატორის სადგომში გაჩნდა ცეცხლი, მაგრამ საჩქაროთ მიღებულ ზომებით ცეცხლი ჩააქრეს.

✦ მარხვა. ადგილობრივ რესტორანების პატრონებს უკვე გამოუცხადეს, რომ მათ სამი დღე კვირაში, სახსნილო საჭმელი არ გააკეთონო. ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში მიიღო მოწერილობა რომ წარადგინოს სადაც ჯერარს ცნობები ახლათ შემოღებულ სამარხვო დღეების შესახებ

✦ ბანკების მოსამსახურების განთავისუფლება უმაღლესი მთავრობის განმარტებით ბანკები ჩარიცხულ იქნენ იმ დაწესებულებათა რიცხვში რომლის მოსამსახურეებს შეღავათი ეძლევა ჯარში გაწვევის დროს 1915 წლის 6 დეკემბრის კანონის ძალით. ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებულ იქნებიან მოსამსახურენი წითელ ლურჯ და თეთრ ბილეთიანი. წითელ ბილეთიანი 1695—1893 წ. ლურჯ ბილეთიანები 1905—1893 წლ. და თეთრ ბილეთიანი 1905--1893 წ. განთავისუფლებული იქნებიან გამგეობის წევრები განყოფილებათა გამგენი, განყოფილებათა დირექტორები, გამგეები და და მათი ამხანაგები, ბუღჰგატრები, მდივნები, უფროსი ინპექტორები და მოლარეები.

✦ შაქრის მონოპოლია. მთავრობის მიერ გადაწყვეტილ იქმნა შემოიღოს შაქრის მონოპოლია.

✦ პავლე მიხეილის ძე მოსეშვილმა გადასცა საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას ორი ხელთნაწერი კარაბადინი ერთი ადამიანის სნეულების. მეორე ოთფეხის საყურადღებოა მეორე კარაბადინი სადაც გარდა სნეულების გასაკურნავი წამლებისა დაწვრილებით აწერილია დარიგება ოთხფეხის მოვლა. კარაბადინი მე 18 საუკუნეშია შედგენილი არაბეთის სპარსეთის და ბაბილონის კარაბადინებიდან.

✦ ქალაქის სანიტარულმა ექ. დ. მაჰავარიანმა და სანიტარულმა კომისიამ დაათვალიერეს 4—5 აგვისტოს პუშკინის ქუჩა მეთევზეების უბანი ვარანცოვის ქუჩა და ოქმი შეუდგინეს უსუფთაობისათვის შემდეგ პირთ: რესტორან „იალტის“ მოიჯადრეს კოსტა რუხაძეს ლევან პეტრიაშვილს რაფიელ კაკტელაშვილს, ივანე ხაინდრავას და დიმიტრი გრძელი-შვილს,

✦ ქუთაისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორად მზურნველმა საბჭომ ამოარჩია ბაქოს კომერციულ სასწავლებლის დირექტორი მიხეილ თაქთაქიშვილი.

✦ გუშინ ქუთაისის კულტურულმა დაწესებულებამა სამძიმარს დეპეშები გაუგზავნეს ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილის ჭირისუფალებს.

✦ განსვენებულ ეკატერინეს ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებისათვის შეუწირავს 25 ათასი მანეთი, გარდა იმ 150 ათასი მანათისა, რომელიც ქ ქუთაისს შესწირა.

✦ ვაჭარ-ნოქართა დამოკიდებულობა. შაბათს, 6 აგვისტოს ქალაქის გამგეობის დარბაზში ბ. ნ. ჩიქოვანის თავმჯდომარეობით მოხთა ვაჭართა კრება, რომელზედაც გარჩეულ იქმნა ნოქართა მიერ წამოყენებული მოთხვნილებანი.

კრების გახსნის წინ ზოგიერთმავაჭარმა მოინდომა ნოქრები არ დაეშვათ კრებაზე და მართლაც ნოქრები კრებაზე დაშვებული არ იქნენ კრებაზე გამოირკვა, რომ ზოგიერთი ვაჭარი კანონიერათ სცნობდა ნოქართა მოთხოვნილებას, მხოლოთ უმეტესობა არ მიემხრო ამ აზრს და არ სცნო შესაძლებლათ დაეკმაყოფილებია ნოქართა მოთხოვნილება. კრების შემდეგ გამოირკვა აზრი იქონიონ ნოქრებმაც ამ საქმის შესახებ მოლაპარაკება.

✦ ნიხრი ქუთაისში ამ ჟამად პური ღირს 23 კ. ყველი გირვანქა 40 კ. ხორცი ოყა 1. 5 კ. შაქარი—გირ. 17 კ. ასანთი ათეული 50 კ.

✦ ებოძათ წმ. გიორგის იარაღი: პრაპ. ვლ. კონ. ჰიჭინაძეს, დ ვ. ბურჭულაძეს კ. მ. დანელიას, მ. ა. ლადორიას, ს. ვ სალრიშვილის დ. თ. ჩოჩუას, უმთავრეს საევაკუაციო ადგილის უფროს ტ. ჩიკოძეს წმ. ანას ორდენი 3 ხარისხის. კაპიტანს იოსებ ჩეჩელაშვილს, წმ. ანას 4 ხარისხის ორდენი წარწერით „მამაცობისათვის“ შტ. არჩილ ბაგრატიონ დავიდოვს და კაპიტონ ალ აბაშიძეს.

✦ სინოდმა ნება დართო ობოლთა საზოგადოებას რომ 28—29 აგვისტოს მოახდინოს ყველა ეკლესიებში წირვის დროს ფულის შეგროვება ჯარის კაცთა ქვრივობოლთა სასარგებლოთ.

✦ ახალი შკოლა. ქუთაისის სახალხო შკოლების დირექტორმა ვიშნევსკიმ ნება დართო წერა კითხვის გამავრცელებელ—საზოგადოების მთავარ გამგეობას გახსნას სოფელ „მოდინახეში“ ზუგდიდის მაზრაში ოთხწლიანი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რომელშიაც ყველა საგნები გარდა რუსულისა ისწავლება ქართულ ენაზე.

✦ მობილიზაციის გარშემო. როგორც გადმოგვცემენ მოლაშქრეების გაწვევა მოხდება შემდეგი წესით. წითელ ბილეთიანები. 1893—1916 წლამდე უნდა გამოცხადდეს 18 აგვისტოს, ლურჯ ბილეთიანები 1911 წ.—1916 წ. 28 აგვ ხოლო 9 სექტემბერს ლურჯ ბილეთიანები 1911 წ—1901 წ.

✦ სასულიერო სემინარიაში. წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში მისაღები გამოცდანი დაიწყება 18 აგვისტოს და გათავდება 27 ში.

✦ უნივერსიტეტში ამ ჟამათ კიევის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე ყოფილა 1000 მთხოვნელი. ადგილი კი 300 მიღება კონკურსით იქნება.

✦ სამეურნეო აღწერა. ქუთაისის გუბერნიაში გარდა ლეჩხუმისა და რაჭის მაზრისა ყველგან დამთავრდა. სოხუმის ოლქში აღწერა დამთავრდება 15 აგვისტოს.

✦ ქალაქთა კავშირმა თპილისში მიიღო 4 მილიონი მანეთი სხვადასხვა ხარჯების დასაფარავათ.

✦ ტანსაცმელი. კავკასიის საინტენდანტო ამზადებს 54000 წყვილ ტანსაცმელს სამხედრო ტყვეებისთვის, მათში 27 ათასი საზაფხულოა და 27000 საზამთრო ტანისამოსი.

✦ ომში მამაცობისათვის დაჯილდოებულ იქნენ კაპიტანი გ. მებუკე წმ. გიორგის ხმლით. პორუჩიკი დუჩაიძე, პრაპორ. ნ. კიკნაძე-მესამე ხარისხის ანას ორდენით ანას 2 ხარისხის ორდერი—ბტროტმისტრი კნ. სუმბათაშვილი და ზ. ამაშუკელი.

### პროვინცია.

— საქონლის ჭირი. სოფ საირხეში საქონლის ჭირი გაჩნდა ამ საშინელმა სენმა მრავალი საქონელი იმსხვერპლა იგი თანდათან ვრცელდება დიდ საფრთხეს უქადის ადგილობრივ მცხოვრებს საჭიროა რომ საგუბერნიო ვეტერინარულმა კომიტეტმა ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს და შესაფერი ზომები მიიღოს.

— დაბა საჩხერიდან გვწერენ რომ ადგილობრივმა კოპერატივმა მიიღო გამოწერილი სიმინდი ამის გამო კოოპერატივი დიდძალი ხალხი ეტანება სიმინდის სასყიდლათ

---

## სოფელი დღეს.

(შემდეგი იხ. „სამ“. №423).

სოფელი ყოველთვის სათლელი დუმა ყოფილა ზოგიერთ ვაჟბატონებისათვის. მაგრამ არასოდეს არ მოპყრობიან ეს უკანასკნელები ასე შეუბრალებლად ამ დუმას როგორც დღეს. სოფელი დაიმშა. სოფელი თხოულობს საჭმელს და რას აძლევენ მას? აშმორებულ სიმინდს. ამაზედ მეტი საცინლად აგდება შეუძლებელია. ნეტავი სად ინახებოდა ამდენა დამპალი სიმინდი? ნეტავი რას აძლევენ ადგილზე ამ დამპალ სიმინდში ფულის შეგროვებით გატაცებული ჩარჩები? რად ყიდულობენ გაფუჭებულ სიმინდს როცა ხალხი შეგრია.? ეს ადვილი ასახსნელია: ამ ვაჟბატონებს ხომ ხალხის ჯანმრთელობა არ აწუხებთ და არ აფიქრებთ. ისინი ხომ თავიანთ მიზანს-ჯიბის გასქელებას-ვერ უღალატებენ, მათ მშვენიერად იციან თუ სიდან უბერავს სიმდიდრის მომტანი ქარი და ამისდა გვარად მოქმედებენ. ამ ვაჟბატონებმა იციან კარგათ, რომ სოფელი დღეს უკიდურეს მდგომარეობას განიცდის, იციან რომ სოფლად შიმშილობაა და მოაქვთ შიმშილის წამალიც. მაგრამ წამალი ყოველთვის ... გისი. ყიდულობს იაფად, ყიდის როგორც სურთ, ვერ გაასაღებენ თუ? არ სტაცებს ხელში ... იზამთ, დრო აქვთ ... სოფელს მოთმინება ... ყოველ დროს და ყოველ შემთხვევაში. მაგრამ... მაგარი ის არის, რომ მოთმინებასაც საზღვარი აქვს...

წარსულ წელში ღვინის მოსავალი სრულიად არ ყოფილა და სოფელი ღვინის მაგიერ წყალს ატანს დამპალი სიმინდისაგან გამომცხვარ მჭადს. ლობიო ძველი აღარ აქვს სოფელს და ახალი ზოგიერთ სოფლებში, ხანგრძლივი გოლვის გამო, მთლად მოისპო. მაშასადამე სოფლის ღარიბი ოჯახი დღეს იკვებება უვარგისი მჭადით და წყლით და რა გასაკვირველია თუ დღეს სოფელში სხვა და სხვა ავათმყოფობა დათარეშობდეს.

დიახ არა ჩვეულებრივი ომისაგან შეწუხებულ სოფელს წელს შიმშილმაც თავისი ულმობელი კლანჭი გაკრა, მაგრამ ეს კიდევ ვერ შეაშინებდა მუდამ გაჭირვებაში მყოფ სოფელს, რომ მოსავალს კარგი პირი უჩნდეს.

შორაპნის მაზრის სოფლების უმრავლესობაში წელს გოლვაა. მთელი ივნისი და ივლისი ნამი არ გადმოვარდნილა, ყანები ზოგიერთ ადგილას დაჭკნა და აიწვა, ისე რომ მისი გამობრუნების იმედი აღარ აქვს საწყალ მუშას. ვენახები დროდროზედ უაქიმობამ გაანადგურა. ბალახი ახმა და საქონლის მოვლა ძლიერ გაჭირდა.

გაჭირვებულმა სოფელმა ამას წინად ძველთაგან ნაცად საშვალებას მიმართა. სოფლის მოხუცი და ახალგაზდა ქალები ერთად შეკრებულიყვნენ და დადიოდნენ, როგორც თითონ უწოდებდენ „დიდებაზე“. თითოეული სოფლის ეზოში შედიოდნენ, ანთებდნენ წმინდა სანთელს, შევბოდენ მეტანიას, ისწერდენ პირჯვარს; შეჰყურებდენ ცას და ევედრებოდენ ღმერთს ქვეყნის გაგრილებას. ორშაბათიც გააუქმეს, ღვედელსაც აწირვინეს, ღამეც ათიეს.. მაგრამ გადის მას აქეთ თითქმის ერთი თვე და ცა ჯერაც სდუმს, რიგიანი წვიმა არ მოსულა. როგორც დანამდვილებით გავიგე ამ გვარი საშვალებისათვის მიუმართავს არა ერთსა და ორ სოფელს.

ამ გვარ არა სასურველ მდგომარეობაშია დღეს ყოველთვის უპატრონობით დატანჯული სოფელი. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ რომ ეს მდგომარეობა სოფლის დროებითია. ევროპას თავისი თავის შერცხვება.. გამოიფხიზლებს და სამარცხვინო იარაღს, თუ არ დასწვავს ქარქაში მაინც

---

## პოლიტიკური მოძრაობა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს.

(წერილი მეშვიდე).

„მთიელთა“, ანუ მონტანჲართა, ერთი მცირე ჯგუფი უკვე დამწესებელ კრებაში იჯდა, მაგრამ ამ დროს სახელწოდება „მთა“ არ ისმოდა. ხანდახან საკანონმდებლო კრებაში ესმოდათ ეს სახელი, რომელიც კონვენტის პირველ დღეებშიაც კი არ იყო გავრცელებული და მხოლოდ 1793 წ. ივნისში, ფედერალისტებთან ბრძოლის დროს, შეიქნა პოპულჲარული, ანუ განთქმული.

მაგრამ კონვენტში პირველი დღეებიდანვე იყო „მთა“ ანუ მარცხენე ჯგუფი, რომელიც ჟირონდელების წინაამდეგ—რევოლჲუციურს, დიქტატორულ პოლიტიკას და პარიზის ბატონობას იცავდა დ შინაურისა და გარეშე მტრების წინაამდეგ შეშინების, ტერორის, სისტემას აწარმოებდი.

ამ დასს თავს უყრიდა და ანაწევრებდა იაკობელთა კლუბი მისი განყოფილებებითურთ. ამიტომ, იაკობელნი და „მონტანჲარები“, ანუ მთიელნი, ერთსა და იმასვე ნიშნავდენ.

მას არც პარტიული ორგანიზაცი, ჰქონია და არც პროგრამა, არც ბელადები ჰყოლია და არც დისციპლინა ჰქონია, მაგრამ პარიზის ბატონობის, დიქტატურის, დაცვის დროს ყოველთვის შენაწევრებული, ერთად შეკრებილი გამოდიოდა.

მისი ბელადები სოციალისტები არ იყვნენ და უარჰყოფდენ სათემო მიწათმფლობელობას (რომელსაც „აგრარულ კანონს“ უწოდებდენ) კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის დეკრეტი დანტონის ინიციატივით იქმნა გატარებული (21 სეკტ. 1792 წ.). დეკრეტი, რომელიც სიკვდილს უქადდა ყველას, ვინც კი აგრარულ საკითხს მხარს დაუჭერდა, ბარერის ინიციატივის შედეგი იყო.

ჟირონდელები აბრალებდენ მონტანჲარებს, როჲალისტები ხართო. მართალია, რევოლჲუციის პირველ ხანაში არც რობესპჲერი და დანტონი და არც მათი ამხანაგები არ იყვნენ რესპუბლიკელნი. მაგრამ რესპუბლიკის იდეა განსაცდელმა დაბადა. მაგალითად, მეფობის გაუქმება (10 აგვისტ. 1792 წ.) იმ გარემოებამ გამოიწვია, მეფემ რომ ავსტრიელებთანა და პრუსიელებთან კავშირი დაიჭირა; და, როდესაც ავსტრიელებმა და პრუსიელებმა 19 აგვისტ. 1792 წ. (სწორედ ამ დღესჩაუვარდა ხელში ტყვედ ავსტრიელებს თავისი ნებით) ლაფაჲეტი.საზღვარი გადმოლახეს და მოზელის დეპარტამენტში შემოვიდენ, 20 აგვისტოს გარემოიცვეს ლონგვი, 30 აგვისტოს ვერდენი, 2 სეკტემბერს აიღეს ვერდენი, 5 სეკტემბერს გაემართენ პარიზისაკენ, 6 სეკტ. გარემოიცვეს ტიონვილი, შემდეგ შეესიენ შამპანჲს,—ამ ამბებმა მოუმზადეს ნიადაგი რესპუბლიკის იდეას, რომელიც 20-23 სეკტემბერს განხორციელდა. და ცხადია, რომ, როდესაც ჟირონდელები და იაკობელები ერთმანეთს როჲალისტობას სწამებდენ, ხსენებული დროჲს წინასწარ ამბებს იხსენებდენ. და. როდესაც იაკობელებმა რესპუბლიკა აღიარეს, მათ შორის აღარავინ იყო შემდეგ ისეთი, მეფობის აღდგენა რომ ნდომოდა.

როდესაც ჟირონდელთა და იაკობელთა შორის ბრძოლა გამწვავდა, პირველნი მეფის სიკვდილით დასჯას იაკობელებს აბრალებდენ. მაგრამ ჟირონდელებს ამ საქმეშიაც ედვათ წილი მეფის საიდუმლო უჯრის გაჩხრეკა და ქაღალდების გასინჯვა ჟირონდელების ინიციატივით დანიშნულმა კომისიამ მოახდინა. 3 დეკემბერს კონვენტის მიერ მეფის სამართალში მიცემა და გასამართლების პროცესის აღმასრულებელი კომისიის არჩევა ორივე მხრის საქმე იყო.

11 დეკემბერს 1792 წ. მეფე წარსდგა კონვენტის წინაშე, როგორც დამნაშავე. პირველად შეკრთა, მაგრამ თავი კარგად ეჭირა თავისი დანაშაულობაზე უარი სთქვა დაკითხვა გულის სიმშვიდით მოითმინა და კონვენტზე შთაბეჭდილება მოახდინა.

მაგრამ დაწყებული პროცესი თავის ლოღიკურ შედეგამდის უნდა მისულიყო და, რაც ჟირონდელებმა დაიწყეს, იაკობელებმა შეასრულეს. 26 დეკ. 1792 ჟირონდელებმა მეფის გასამართლების განაჩენის პლებისციტით დადასტურება მოითხოვეს მაგრამ იაკობელებმა პარიზის დემოკრატიის გულის მოსაგებად კონვენტის დადგენილების განსაჩივრება და ხალხის შეკითხვა (პლებისციტი) უარყვეს, მეფის მომხრეების შესაშინებლად ტერორს მიჰმართეს, მრავალი მოქალაქე დაიჭირეს და ჩასვეს ციხეებში,—რის გამოც ერთი კვირის განმავალობაში პარიზიდან 14 ათასი კაცი გავიდა,—და კონვენტის წინაამდეგ პარიზის უბნის წარმომადგენლები (სექციები) და ქალაქის თვითმართველობა (მუნიციპალიტეტი) აამხედრეს. შეშინებამ გასჭრა და კრებამ 424 ხმით 284 ხმის წინაამდეგ განსაჩივრება უარჰყო. სიკვდილით დასჯა. კი მხოლოდ ერთი ხმის უმეტესობით გადაწყდა (ეს იაკობელთა ბრალი იყო). 21 იანვარს 1793 წ ჯალათმა სამსონმა მეფეს თავი მოჰკვეთა. და ამ ამბავმა მთელი მონარქიული ევროპა შესძრა და აამხედრა საფრანგეთის წინაამდეგ და საშინელი შინაური სამოქალაქო ბრძოლა გამოიწვია, რომელმაც რესპუბლიკის დამხობას თანშეეწია.

ამგვარად, თუმცა მეფის სიკვდილით დასჯის განაჩენი—იაკობელთა აგიტაციის შედეგი იყო, მაგრამ ის, რაც ამ განაჩენს წინ უძღოდა, ჟირონდელების ინიციატივით მოხდა. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ბრალი ან ორსავე მხარეს ედება ან არცერთს.

ჟირონდელები აბრალებდენ მონტანჲარებს, 1792 წ. სეკტემბერში უდანაშაულო პატიმართა მკვლელობანი თქვენ მოაწყვეთო. მაგრამ ამ ბოროტმოქმედებაში მარტო მარატი იყო დამნაშავე, რობესპჲერს მონაწილეობა არ მიუღია და დანტონმა ყველაფერი, რაც კი შეეძლო, ქმნა, რომ მკვლელობანი შეეჩერებინა. ამასთანავე პირველ ხანს ორივე მხარე აფარებდა ხელს ამ საქმის ინიციატორებს, მაგრამ ჟირონდელებმა მალე ეს მკვლელობანი თავის პარტიულ მტრებს—მონტანჲარებს—მიაწერეს, 5 ნოემბრიდან 1792 წ. იაკობელებმა პარტიული ჟინიანობით ამ საშინელ ბოროტმოქმედებას მართლება დაუწყეს, და 20 იანვარს, 1793 წ., როდესაც ჟირონდელებმა მოახერხეს მკვლელობათა მეთაურების დასჯის დეკრეტის გატარება, იაკობელები იცავდენ უკანასკნელთ აქედან დაიბადა არაკი, ვითომ ეს მკვლელობანი იაკობელებს მოეწყოსთ.

მარატი, დანტონი და რობესპჲერი წარმოადგენდენ სეკტემბრიდან 1792 წ იანვრამდის 1793 წ. „მთის“ სამი მიმდინარეობის განსახიერებას.

მარატი—პარიზის დეპუტატი—ტერორსა და პლებისციტურს, ხალხის ნდობით აღჭურვილ დიქტატურას ჰქადაგებდა (შემდეგ ეს დიქტატურა ნაპოლეონ პირველმა განახორციელა). სეკტემბრის (1792 წ.) მკვლელობანი--მისი ინიციატივით მოხდა. მუდამ სისხლს თხოულობდა, ეჭვისა და უნდობლობის თესლსა სთესდა და სამოქალაქო განხეთქილებას, შინაურ მტრობას აქეზებდა და ცეცხლს უკიდებდა. პირველად, ე. ი. სეკტემბრიდან 1792 წ. მარტამდის 1793 წ., მისი გავლენა უმნიშვნელო იყო, მაგრამ 1793 წ. მარტის ბოლო რიცხვებში, როდესაც რესპუბლიკის ჯარი დამარცხდა, მისი გავლენა უცებ გაიზარდა და, როდესაც დჲუმურჲემ რესპუბლიკას უღალატა, მან ჟირონდელთა მთელ ჯგუფს შეთქმულობაში და ღალატში მონაწილეობა დააბრალა. ერთი სიტყვით, მისი გავლენა თანშეეწია შინაურ მტრობასა და გადაკიდებასა და, მაშასადამე, რეაქციის დაჩქარებასა და რევოლჲუციის შედეგების აღხოცვას. და, თუმცა 13 ივლისს 1793 წ. მოკლულ იქნა შარლოტა კორდეს მიერ, მაგრამ მისი სისტემა, რესპუბლიკის საუბედუროდ, ცოცხალი დარჩა. მეტი კიდევ: მის სიცოცხლეში მას მხოლოდ პარიზი იცნობდა, სიკვდილის შემდეგ კი მისი სახელი მთელ საფრანგეთში განთქმული შეიქნა.

რობესპჲერს კი მთელი საფრანგეთი იცნობდა და დემოკრატიის მოციქულის სახელი ჰქონდა მოპოებული. ნამდვილი დემაგოგი იყო. კონდორსეს ფიქრით. ხალხი მხოლოდ მაშინ შეიქნებოდა კარგი, როდესაც განათლებას ეღირსებოდა; მარატს ხალხი ბალღად მიაჩნდა, რომელსაც ვითომ პატრონი (დიქტატორი) სჭირდებოდა; მხოლოდ რობესპჲერი სთვლიდა ხალხს მოწიფულად, სრულწლოვანად და ყოველისავე სათნოებით მომადლებულად. „ხალხი არაოდეს უსამართლო არ არისო“, ეს იყო მისი ჩვეულებრივი ლეიტ-მოტივი კლუბში და კონვენტში. მდაბიო ხალხს უყვარდა, რადგან მუდამ იმეორებდა: მდიდრები

ბაბრუნებს. ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგება. სოფელი? სოფელს ისევ ძველი მდგომარეობა ჩასჭიდებს ხელს და ამ მდგომარეობაში დარჩება მანამდი, სანამ არ მოიცილებს თავიდან იმ საშიშ მტერს რომელიც მას თავზე აწვა ომამდისაც. ამ მტერს ქვია სახელად უცოდინარობა.

დიაღ, სოფელს არა აქვს ცოდნა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ესაა უმთავრესი მიზეზი სოფლის ყოველ-გვარად ჩამოქვეითებასა, მაგრამ ამაზედ შემდეგ.

გორგი

# მიმართვა.

ქუთაისის შინაარსის მიმართვა დაეგზავნათ ხონის რაიონის მომხმარებელთა კოოპერატივებს.

ქუთაისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭო ამით გაუწყებთ, რომ დაბა ხონის ახლო-მახლო სოფლების მომხმარებელ საზოგადოებათათვის სხვადასხვა პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან, მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებული კავკასიის აგრონომიული წრის ქართული სექციის დახმარებით იგზავნება ორი ინსტრუქტორი, აპოლონ კაკაბაძე და გიორგი რცხილაძე, რომელთაც გთხოვთ ყოველივე დახმარება აღმოუჩინოთ: მიაწოდოთ ყველა მათთვის საჭირო ცნობა და მიმართოთ მათ თქვენ საზოგადოებაში აღძრულ საკითხების გადასაწყვეტათ და საზოგადოების ანგარიშებისა და საქმის წარმოების მოსაგვარებლად.

ზემო დასახელებული ინსტრუქტორები მოაწყობენ დაბა ხონში ორკვირეულს უფასო კურსებს დაახლოებით 1 დან 20 მარიობისთვემდი. კურსების მიზანია მომხმარებელ საზოგადოებათა ხელმძღვანელთ მისცეს უსაჭიროესი ცნობები კოოპერაციის შესახებ და გაასწავლოს მომხმარებელი საზოგადოების საქმისა და ანგარიშის წარმოებას. კურსებზე მიიღება არა უმეტეს 30 მსმენელისა. მიღების დროს უპირატესობა მიეცემა მომხმარებელ საზოგადოებათა მიერ გამოგზავნილ პირთ. კურსებზე ჩაწერის მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით შემდეგი მისამართით: М. Хони, Аполлону Ильичу Какабадзе, улица Мебуке, домъ Цивцивадзе.

იგივე ინსტრუქტორები წაიკითხავენ სოფლათ ხალხისათვის პოპულიარულ ლექციებს კოოპერაციიდან.

ქუთაისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარე ი. ქუთათელაძე

მდივანი კ. ბერეკაშვილი

ამით გაუწყებთ, რომ კოოპერატიული კურსები გაიხსნა კვირას, 7 მარიამობისთვეს, საღამოს 5 საათზე ხონის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელ შენობაში. მეცადინეობა დაიწყება ორშაბათს, დილის 9 საათიდან.

კურსების პროგრამა შემდეგია:

1 კოოპერაციის მოკლე თეორია და ისტორია საზღვარ გარეთ, რუსეთში და საქართველოში (განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მომხმარებელთა კოოპერაციას) დღეში 2 საათი. 2. მომხმარებელ საზოგადოებათა ორგანიზაცია და პრაქტიკა დღეში 1 საათი. 3. მომხმარებელ საზოგადოებათა ანგარიშის წარმოება პრაქტიკული მეცადინეობით დღეში 3 საათი.

ინსტრუქტორები: აპოლო კაკაბაძე, გიორგი რცხილაძე.

# შავი ზღვის ნაპირებისაკენ.

(დასასრული, იხ. „სამ“ № 423)

უახლოვდებით ათონის მონასტერს, რომლის ლამაზი მიდამოები შორიდან ხიბლავს ადამიანის თვალს დიდი, კვიპაროსის ხეები შემორტყმიან გარს ათონის მონასტერს და რაღაც ფიქრით შეუმოსავსთ ყველაფერი... სამწუხაროთ ათონში დიდი ხნით გაჩერება არ მოგვიხდა. ვეჩქარებოდით გაგრისაკენ, რომ ღამე სიარული არ შეგვხდეროდა. სოხუმიდან გაგრამდი 86 ვერსია. ეტლი მიქრის რაც შეიძლება. გზა სოხუმიდან გაგრამდი სულ ზღვის პირს მიყვება ასე რომ ზღვას თითქმის თვალს არ აცილებ... ეგერ ეგერ შევჩერდებით ცხენების გამოსაცვლელათ, დასვენებული ცხენები ისევ გიქრონ. საღამოს 7 ს. გაგრაში ვართ. ჩემი თანამგზავრი ქალი გაგრის ახლო ჩამოხტა ძმის აგარაკზე...

აუწერელი სილამაზისა პატარა ქალაქი გაგრამ. თუმცა ამბობენ კი რომ მრავალი მილიონებია „ჩაყრილი შიგ ოლდენბურგსკიდანო“ შესანიშნავია პრინც ოლდენბურგსკის სასახლე რომელიც, როგორც არწივის ბუდე მიკვრია თვალ უწვდენელ კლდეს...

ღამე ზღვისპირას გაგრაში—ესკლასიკური სურათია, რომლის მსგავს იშვიათად შეხვდები კაცი. სამწუხაროთ აქ ვერ დავრჩი იმდენხანს რაც სოხუმში გავთიე. დილით ადრე ისევ გავსწიეთ სოჩისკენ. გაგრიდან იწყება ეგრეთ რომ ვსთქვათ გზატკეცილის ლაბირინტი მთებში. გზა მოყვება მთის კიდეს, მიდის პირდაპირ, უეცრივ უხვევს და ისევ იქით მიდიხარ სიდანაც მოხვიდოდი... ძველი გზა დაცილებულია ახალს რამოდენიმე საჟენით... ასე უნდა იტრიალო მთებში ათი თუთხმეტი ვერსი რომ ნამდვილით ოთხი ხუთი ვერსის მანძილი გაიარო .. გუდაუთის იქით მაგალითად „შავი წყლის“ ხეობის გავლას მოუნდით თითქმის მთელი ოთხი საათი, პირდაპირ ფეხით კი ამ გზას ერთ საათში გაივლის კაცი...

შავი წყალი—მდინარეა გუდაუთის იქით, მაგრამ ნამდვილათ კი მისი ტალღები თეთრია როგორც რძე, რადგანაც თეთრი ქვა რომელზედაც ის მიდის თეთრ ფერს აძლევს. ახლო რომ მიუახლოვდები ამ მდინარეს დაინახავ რომ ეს წყალი ცრემლივით წმინდა და ყინულსავით ცივია.. —თითქმის ყოველდღე იხვრჩება შიგ კაცი და იმიტომ დაარქვეს შავი წყალიო—აგვიხსნა მეეტლემ. საღამოს გავჩერდით სოჩაში...

აუარებელი მოაგარაკე ხალხს მოუყრია აქ თავი... ვისაც შეძლება აქვს სასტუმრო „რივიერასკენ“ მიეშურება, სხვები უფრო „შესაფერის“ ადგილს ეძიებს... ბევრი ძებნის შემდეგ ჩვენც, მე და ერთმა სტუდენტმა, ვიშოვნეთ „შესაფერისი ადგილი“.

ზღვის პირს მრავალი ხალხია—სატრანსპორტო გემები და ნალმოსნები შედის და ხალხი ყვირის „გებენიაო“... ნაპირთან ახლოს ჩაძირული გემია—ეს კი ბრესლაუს ნამუშევარია—რამდენიმე დღის წინეთ აქ გამოიარა ზარბაზნები დაუშინა ამ ქალაქს.

ქუჩის თავში რაღაც მიტინგი იმართება... შემდგარა ქვაზე ვიღაც ფოსტის მოხელე და მოუწოდებს ხალხს... გაცხარებული ლაპარაკობს ახლანდელ წესებზე და სხვ. და სხვ. ხალხი ვაშას ძახილით ტაშს უკრავს მას, მხოლოთ მალე პოლიციელები ჩნდებიან და მიყავთ ის „დასამშვიდებლათ“...—ეხლა შეგიძლიათ დამიჭიროთ—მე ჩემი ვსთქვი—ეუბნება ის ბოქაულს...

დილით ადრე სოჩიდან ტუაპსესაკენ მივეშურებით... ისევ ბაღები, სულ ბაღები და ვენახები ათი, ორმოცი და მეტი დესიატინა ბაღები!... და ძირს ზღვა...

სოჩიდან ღირს შესანიშნავი ალარაფერია თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ პატარა ზღვის პირზე მდებარე ქალაქს—ადლერ და ლაზარევსკოეს... გზებზე სქელი მტვერია და ავტომობილების გარება ეს ტანჯვაა ჩვენთვის—მთელი საათი მტვერი უნდა ვყლაპოთ... მეცხრე დღეა რაც სენაკიდან გამოვედით... ერთი აღმართი და ტუაფსეც გამოჩნდება... 3-4 ვერსი იქნება მთის სიმაღლე, რომელზედაც გზა გველივით იკლანკება და ათამდე კაცი ეხვევა მას .. მწვერვალზე ავტომობილი აფეთებს ცხენებს და—კატასტროფა—დილიჟანი გადაბრუნდა... ადვილათ გადავრჩით—მეეტლეს მათრახი გაუტყდა მხოლოთ...

ბოროტი არიან, ვისაც 3,000 მანეთზე მეტი აქვს წლიური შემოსავალი, პატიოსანი ვერ იქნება და სათნოება მხოლოდ შუაობაში, ზომიერებაში, არისო. ამასთანავე შეურიგებელ პოლიტიკას აღიარებდა და ამბობდა: მოქალაქენი ორ ნაწილად განიყოფებიან, ცუდ მოქალაქეებად და კარგ მოქალაქეებად; ერთი მხრით უბადო და უსინიდისონი არიან, მეორე მხრით სათნოიანნი; და უნდა განვდევნოთ საზოგადოების მტრები, ყველა, ვინც ჩვენებრ არ ფიქრობსო.

არის მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება, ერთი პოლიტიკური რწმენა. ვინც ამ რწმენას შორდება და ამ ჭეშმარიტებას არ აღიარებს, ხალხის მტერია. თვითონ ის—რობესპიერი—ამ ჭეშმარიტების მაჩვენებელი ქურუმია და აფხიზლებს, თვალს უხელს ხალხს, ოღონდ კი უკანასკნელი მას გაჰყვეს.

ამბობდა, პოლიტიკური რწმენა არ გამომიცვლიაო, მაგრამ ეს არ არის მართალი. 10 აგვისტომდის 1792 წ. ის მონარქისტი იყო, შემდეგ კი რესპუბლიკელი.

უყვარდა კაცობრიობა და მამული რომლისთვისაც მზად იყო თავი დაედვა. მაგრამ თავს ალმერთებდა და შურის მეძიებელი იყო. ის და ქალბატონი როლანი იყვნენ უმთავრესი მიზეზი, ჟირონდელებსა და მონტანიარებს შორის რომ შერიგება არ მოხდა.

მორწმუნე იყო ღ სულის უკვდავება სწამდა ერთი სიტყვით, ჟანჟაკ რუსსოს ნეო ქრისტიანობას, სავოელი მღვდლის სარწმუნოებას, აღიარებდა და უნდოდა, ეს სარწმუნოება—მთელი საფრანგეთის სარწმუნოებად გაეხადა, თვითონ კი უმაღლესი ქურუმი, მღვდელმთავარი ყოფილიყო. მტრებმა მიუხვდენ და მწარედ დასცინოდენ მან კი შური იძია და დაღუპა ისინი (ჟირონდელები) და მათთან ერთად თავისუფლებაც.

დანტონი ერთსადაიმავე დროს კეთილშობილი გულისა ღ გენიალი ჭკუის პატრონი და ყოველგვარი ცალმხრივობისა და ფანატიზმის მტერი იყო, ღ უდიდესი მჭერმეტყველებისა და საქმიანობის უნარი ჰქონდა. საფრანგეთის ისტორიაში ორი იყო მისებრი; მისი თანამედროვე მირაბო და შემდეგ მეცხრამეტე საუკუნეში გამბეტა.

როდესაც უახლოესი, აუცილებელი საქმე ჯერ გადაუწყვეტელი იყო, შორეულზე არა ფიქრობდა. აი როგორი იყო მისი საქმიანი პოლიტიკა: ჯერ გავაძევოთ პრუსიელები და მერე სხვა საქმე ვიფიქროთ; ფრანგებმა მტრები განდევნეს და ბელგია დაიპყრეს: ახლა პრუსიასა და ავსტრიას მოველაპარაკოთ და მშვიდობა ჩამოვაგდოთ; ინგლისთან ომი გამოცხადდა: ნუ შევწყვეტთ მოლაპარაკებას ინგლისთან; ბრისსოსებურმა სამხედრო ქადაგებამ შეაშინა ევროპა; დანტონს გაჰყავს კონვენტში დეკრეტი, რომელიც აცხადებს, საფრანგეთი სხვა სახელმწიფოთა შინაურ პოლიტიკაში არ ერევაო (13 აპრ. 1793 წ.)

მისი აზრით შინაური შუღლი უნდა ალხოცილიყო და გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია უნდა შენაწევრებულიყო ამბობდა: პირადობა მამულს უნდა ვანაცვალოთ და შურისძიება ერთობასო. და, ასე გასინჯეთ, როცა ცილსა სწამებდენ,—რომ შუღლი არ გაემწვავებია,—ხანდახან თავსაც კი არ იმართლებდა.

მისი ფხიზელი, ცხადი და ადვილად გასაგები, მარტივი სიტყვა მსმენელს იტაცებდა და მოქმედებისადმი იწვევდა. საქმისა და ბრძოლის კაცი იყო; და უცებ იძლეოდა გადაჭრილ რჩევას, რომელიც გარემოებას შეეფერებოდა ერთი სიტყვით, უდიდესი საქმის-კაცი, ოპორტუნისტი, იყო ამ საქმის უკეთესი მნიშვნელობით. მაგრამ რობესპიერივით ხალხს ქათინაურებს არ ეუბნებოდა და, ამიტომ, შედარებით ნაკლებად პოპულარული იყო.

1792 წ. სეკტემბერში ის მამულის გარეშე მტერთაგან თივდაცვის საქმის მესვეური და მამულიშვილობის პირველი მღაღადებელი იყო და შეეძლო მეტი სახელი და გავლენა მოეპოებია, მაგრამ ბოლოს მედგრობა და თანმიდევნებითი მოქმედების ძალი დააკლდა ეს იყო სხვათა შორის მისი დაღუპვის მიზეზი.

ეს სამი რევოლუციური მოღვაწე—მარატი, რობესპიერი და დანტონი—გამოხატავდენ სამ ნაკადულს მონტანიართა მიმართულებაში.

მაგრამ პირველად ეს სხვადასხვაობა არა ჩანდა. მაგალითად, სეკტემბრიდან 1792 წ. ივლისამდის 1793 წ. სენჟუსტი, ლება და კუტონი არა ყოფილან რობესპიერის ამხანაგები; კამილ დემულენი, ბასტილიის აღების გმირი და შესანიშნავი პუბლიცისტი, ჯერ კიდევ არ იყო დანტონისტი და რობესპიერთან ერთად ვიდოდა; და ფაბრ დეგლანტინი ამართლებდა სეკტემბრის (1792 წ.) მკვლელობათ, რომელთაც გმობდა დანტონი.

ამ დროს არ იყვნენ, მაშასადამე, არც რობესპიერისტები, არც დანტონისტები და არც მარატისტები და ეს ხალხი ჟირონდელების სადეპარტამენტო პოლიტიკის მიერ გამოწვეულმა შიშმა შეაერთა. და ამ ბრძოლაში გამარჯვება მონტანიარებს დარჩათ, რადგან რევოლუციის დროს ის იმარჯვებს, ვისაც მეტი ენერგია, საქმიანობის უნარი და გამბედაობა მოეპოება.

ვასილი წერეთელი.

დღეს, სამშაბათს, 9 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

გამომცემელი ამხანაგობის „სამშობლოს“

# წევრთა კრება.

განხილულ იქნება მიმდინარე საქმეები.

თავჯდომარე ალ. ალ. გარსევანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბლატუაფსეა ერთი საათის შემდეგ იქ ვიქნებით.

ტუაფსეში ძალიან ცოტა ქართველობაა, უმეტენობა წვრილი ვაჭრებია და ინტელიგენტთაგანს აქ იშვიათად შეხვდებით. აქ არსებობს წერაკითხვის საზოგადოების განყოფილება, ბიბლიოთეკა. უკანასკნელი მოთავსებულია საკუთარ სახლში, რომელიც ოთხი თვალისაგან შესდგება. სახლი აშენებულია აქაური განყოფილების ხარჯით ქართული შკოლისათვის. გაზეთები გამოწერილი აქვთ წევრებს ბიბლიოთეკის ხარჯზე მოდის „საქართველო“, „აზრი“ „სახალხო“ „ნაკადული“ „თეატრი და ცხოვრება“ „ეშმაკის მათრახი“, მაგრამ სამწუხაროთ უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ აქაური ქართველობა ნაკლებათ ეტანება ბიბლიოთეკას და ჟურნალგაზეთობას. „სახალხო“ ივნისის ნომრები თითქმის სულ გაუხსელი დამხვდა. საჭიროა რომ იმ ცოტა ძალებმა, რომლებიც აქ მოიპოვებიან შეაკავშირონ აქაური ქართველობა, მით უმეტეს, რომ გარემოებას ხელს უწყობს წ. კ. განყოფილება, საკუთარი სახლი და ბიბლიოთეკა.

ტუაფსე პირველი პუნქტია სადანაც გამოდის ახალი „შავი ზღვის რკინის გზა. ამ გზის გაყვანისთვის ეხლა გაცხარებულათ მუშაობენ და ენგურიდან. მთელი გზის მანძილზე ხედავ მუშებს, რომელნიც ჯგუფ ჯგუფათ ადგიან სამუშაოს...

ამ საქმეს სათავეში უდგას „სააქციო საზოგადოება შავი ზღვის რკინის გზისა“. გამოკვლევანი ამ გზის გაყვანისთვის, როგორც გადმოგვცეს ტუაფსის უფროსის კანტორაში (უმთავრესი გამგეობა სოჩაშია და ტუაფსის რაიონის ტუაფსეში) დაუწყიათ 1912 წელში მხოლოთ მუშაობას შესდგომიან 1914 წელს. რკინის გზა გამოვა ტუაფსედან—გაიარს ლაზარევსკოეზე, ადლერში სოჩაში, გუდაუთზე გაგრაზე, სოხუმზე, ოჩემჩირეზე, ზუგდიდზე და გამოვა ახალსენაკთან.

ერთი მხრით სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ რკინის გზა მიდის თითქმის სულ ზღვის ნაპირას—რამდენიმე ათეული ვერსი თუ იქნება დაშორებული ზღვაზე, და ისიც სულ ცოტათი, თორემ გზა სულ ზღვის კიდეზე მიიკლანკება, ამ მხრივ მრავალი სოფლები და დაბები, როგორც აფხაზეთში ისე იქით, მოკლებული იქნებიან რკინის გზას. მეორე მხრით კი ეს კარგია მით რომ ამ რკინის გზის დაგვარი თითქმის მთელ რუსეთში არიქნება—სილამაზის მხრივ გზის სიგრძე 321 ვერსია. უნდა გაკეთდეს მრავალი ხიდი და „ტონელები“ მაგალითათ, როგორც კანტორაში გადმომცეს მარტო ტუაფსის რაიონში ასი ხიდი იქნება და ორმოცდა ათი ვერსის მანძილზე სამი ტონნელი.

საზოგადოებას აქვს განძრახული სოჩამდე რკინისგზა იანვრამდე მოათაოს და მატარებელი აამუშაოს ზედ. მუშაობას ხელს უშლის მუშა ხელის ნაკლებობა თუმც ამ რკინისგზის შავი ზღვის ნაპირებისათვის მიუხედავათ სხვა და სხვა ნაკლულოვანობისა დიდი მნიშვნელობა ექნება და ეს მხარე გადიქცევა მართლა „რივიებათ“ როგორც ეხლა მას უწოდებენ, თუ რასაკვირველია სხვა პირობებმაც ხელი შეუწყო.

ნიკ მ შვილი.

# პროვინციის ცხოვრება.

**დ. სურამი.** ივლისის 31 და აგვისტოს 1 აქ გაიმართა ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოების საზოგადო კრება კრებაზე გამოირკვა რომ ხსენებულ საზოგადოებას უკვე არავითარი უფლება არსებობისა არა ჰქონია, ვინაიდგან არცერთ წევრს და არც თავჯდომარეს საწევრო გადასახადი არ ჰქონია შეტანილი.

— —

**დ. ხონი.** ხონელმა ვაჭრებმა ამ დღეებში ახლად მიღებული 4 ვაგონი ფქვილი შემნახველ გამასესხებელ ამხანაგობებს გადასცეს. 29 ივლისიდან კვლავ ნება დართეს, რათა პარასკეობით გაიმართოს ხოლმე ჩვეულებრივი იარმუკა.

არეულობის გამო დაპატიმრებული ხალხი გაანთავისუფლეს გარდა ორიოდე კაცისა, რომლებიც ქუთაისის საპატიმროში იქნენ გაგზავნილი.

— —

**აგ. ბახმარო** წარსულ თვის დამლევს აქ ქ-ნ. კ. მიქელაძემ ლექცია წაიკითხა შემდეგ თემაზე „სიმბოლისტები და შოთა რუსთაველი“ ხალხი ბევრი დაესწრო. ბოლო ხანს აცივდა და აქედან უკვე დაიწყეს მოაგარაკებმა უკან დაბრუნება.

**აგ. წაღვერი.** ქართულ თეატრის ფონდის გასაძლიერებლად გამართულ ქართულ-რუსულ საღამოდან შემოსული 195 მან. დანიშნულისამებრ გაიგზავნა.

— —

**ლეჩხუმი.** რამოდენიმე სოფელში გლეხობამ თრიმლის დამზადება დაიწყო; თრიმლს სამხედრო უწყება ყიდულობს, განსაკუთრებით გამოგზავნილ წარმომადგენლის შემწეობით. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ეხლავე გაჩნდენ ჩარჩები, რომელნიც გლეხის უცოდინარობით სარგებლობენ და ატყუებენ მათ.

# პატარა ფელეტონი.

## იმერლის ბოდვა

ფილიპე ბარბაქაძე აგარაკზე.

დიდება შენთვის ღმერთო, თურმე კაცი თუ მეინდომა ყველაფერს გააკეთებს ყველაფერს შექმნის და თვითონაც რათაც უნდა იმათ გადაიქცევა ახლა ვთქვათ მეინდომეა „ფუტურისტობა“ გაფუტურისოები, მეინდომე პოვეტობა გაპოეტდები—აპა თუ ეს ასე არა რანაირათ მოხდა, რომ მე ფილიპე ბარბაქაძე მთელი ორი კვირის განმავლობაში ფუტურისტათ გადავიქეცი და რანეირათ არ მკითხავ!!. რანაირათ და ამიტყდენ რომ ძალიან სუსტათ ხარ და ზღვაში უნდა იბანოო ხომ იციო მითხრეს, მარილი დიდხანს ინახავს ხორცსო და ზღვა ხომ იცი მარილიანია და შენც დიდხანს შეგინახავს და დიდხანსაც გაძლებო, წადი ზღვაში იბანეო, შევკარი ჩემი ბარგი ბარხანა და გავსწიე ქობულეთისაკენ, აქანა სტანციაში ხმა არ გამცა კაცმა და ბილეთი პირდაპირ ქობულეთის მომცეს, რავარც მივაწიე ნატანების სტანციას და დეიძრა პოვეზდი თვარა... გამომეჯგიმა ვიღაცა აფიცერი და ბილეთიო მითხრა—ა ბატონო თქვა, უთხარი და მიეცი ბილეთი—ეს კი არაო, მითხრა, ბილეთი იმისი, რომ გაქ თუ არა ნება ქობულეთში ჩასვლისო ბიჭოს, მე გევიფიქრე ეს აფიცერი ან შეშლილი უნდა იყოს, ან და ვიღაცამ მიხუმრა თვარა, თუ ნება არ მქონდა ქუთაისის სტანციაში რაზე მომცეს ბილეთითქვა.

მიუბრუნდი აფიცერს და ვუთხარი:

— კაკოი რაზრიშინიათქვა —

— კაკოი და ოტ კომინდატა ბათუმაო გაბერილმა კანდუკტორმა მითხრა, რაკი რაზრეშენი არა გაქ ბათუმში უნდა წამოხვიდე კამენდატთანო—რატო ძმაო თქვა, მე უთხარი, თუ აქეთ არ გამიშობდით, ნატანებია თუ რაცხა ჯანდაბა იქინა ვერ დამტოვეთ?.. რაღას მოგყავდით აქეთქვა: —ნუ ჩორტი სნიმიო! უთხრა აფიცერმა პუსკაი იდიოტ ქობულეთშიო, და მომშორდა, მივედი ქობულეთში. ჩავჯდი ფაიტონში უთხარი წამოიყვანე გასტინიცაშითქვა—წამიყვანა, მიმიყვანა ერთ დანგრეულ სახთან გააჩერა, მე უთხარი რას გაჩერდი გასტინიცაში წამიყვანეთქვა აი ეს არის გასტინიცაო შევედი ვითომ და ნომერში ერთ ფანჯარაზე ფარდის მაგივრათ ქალის პერანგი იყო აფარებული და მეორეზე ღმერთმა იცის რა.. რა კი საშველი არ იყო რას ვიზამდი დავჭინავდი—

და ღამებამდი კაი დრო დარჩა და გავსწიე ზღვის პირისაკენ. დედოუ რა ვნახე, რა ვნახე. მთელი ზღვის პირზე სულ ტიტველ ტიტველი ქალი და კაცი ერთმანეთშია არეული ვთქვი, კაცო, ეს ნამდვილათ რაც ქვეყანაზე ფუტურისტებია ნამდვილად აქანა მოუყრია თავითქვა. აქეთ გავშინჯე, იქით ვაივალიერე: აბა თუ აქანა ქუთაისელი ფუტურისტებია თქვა, მივჩოჩდი ნელა ნაპირისაკენ და დევიწყე ტანისამოსის გახდა; ვიფიქრე თუ მომაკივლა ქალმა ან მომაყვირა კცმა თქვაქე წავალ ჩემთვის თქვა, მარა გაგიგონია!? ვინ გაქცა ხმა, გევიხადე ჩავღუნე თავი და მოვადინე დგვეფა ზღვაში, მარა თვალები გვერდებზე დამრჩა.

გევიხედე რას შევხედე ერთი ქალი დაწოლილა ტიტველე მზეზე და არის არჯავანიძის ზუთხივით გათხვლაშული, მე ვთქვი ეს ნამდვილათ „დარიანი" ათქვა და ალბათ უცდის ვინმე ფუტურისტს გევიხედე კაცია გაშხვათული და ზურგი მზისთვის მიუფიცხებია, ეს კი მე ვიფიქრე ნამდვილად ჩვენი ფუტურისტების ადვოკატი რომაქელია მეთქი და რაღაც მოჩვენებს ელისთქვა და თვალწინ წარმომიდგა „ეშმაკის მათრახში" დაბეჭდილი სურათი.

ასე ამნაირად მთელი ერთი კვირა იმათი ცქერის მეტს არაფერს ვაკეთებდი სულ გადაწყვეტილი მქონდა ერთი კვირე დავრჩენილიყავი და ასე გამიტაცეს რომ ორი კვირა ფეხი არ მოვიცვალე ვიფიქრე სწორეთ დავიღუპე კაკალი კაცი ნამდვილად გავფუტურისტდები აქანა-თქვა და გამოვწიე ქუთაისისკენ.

ვინც გევიცანი ყველა მეგობრისტები იყო და გაზეთს ქობულეთში ქართულს მაინც როგორც ურიის სახში ღორის ხორცს ვერ ნახავ ისე იქინა. ვინც გავიცანი ყველას მეგობრისტების გაზეთი მოდიოდა, რას ვიზამდი ვკითხულობდი და ერთი კვირა კიდო რომ დავრჩენილიყავი ნამდვილათ გავმეგობრისტდებოდი..

ჰო! იმას მოგხსენებდით გამოვსწიე ქუთაისისკენ, რო მოვაწიე სამტრედიას ე! მაშინ ვიგდე ხელში სხვა ქართული გაზეთები გადავიკითხე, გადმევიკითხე, დიდება შენთვის ღმერთო, მომაგონდა ერთი არაკი: „ქვეყანა იქცეოდა და მახარა აპრუწით იყოო" კაცო ორი ლომი ერთმანეთს დატაკებია და პატარა მუნიანი ლეკვი გასაზოვებლათ შუაში ჩახხირებია.

ნამდვილად გადეირია ქვეყანა, გამწარდა ხალხი მარა ხალხი ხალხს ქვია ეს ქალები რა ეშმაკმა გადარიათ?! კაცო როცა ძვირფასი ტანისამოსი ჩაცმის მადა დაეკარგათ, რაც ძვირი საქონელი იყო ვაჭრებს გოუსაღეს, ყელამდის გაამდიდრეს, ეხლა მოიქნიეს კუდი და მაღაზიების ლეწვა მტარევა დაიწყეს, აი ჭკუასად არის!.. შე ოჯახ დასაქცევო, ამდენი ხანი უნდა მოგესაზრებია თვარა ახლა რა ჭკუა? გამდიდრებულს რას დააკლებ? არა, მე მგონია, აქანა სხვა მიზეზი უნდა იყოს, გამწარდენ, შე ღალოცვილო, გასათხოვარი ვეღარ გათხოვდა, კაცი აღარაა, ქვრივს ვიღაა შეირთავს, გათხოვილები ქმრებს ელიან და ზოგი დაჭრილია, ზოგი მოკლულია და არ იციან და ქე გამწარდენ გვერდები მეექავათ და ცოტა შეხურება მოუნდათ, ადამიანის შვილი ვართ ზოგს მათრახი მოუხდებათ ზოგს რა და ზოგს რა... ტყვილია?!

ეს ხომ მაინც მართალია, რომ ქუთაისი ნამდვილ პარიჟათ გადაიქცა, მიბრძანდები ჩილინგაროვის „კაფეში" სამხედრო მუსიკა, გაბრძანდები „რეიმსში" სიმებიანი ორკესტრი, გაიარე ბულვართან კიდო მუსიკა, ვისაც უნდა კითხო ყველა გაიძახის: ღმერთმა ააშენოს იმგენის ოჯახი, გვართობენ მაინც და ყოველ საღამოს მუსიკას ვისმენთ იმგენის „ხარჯზეო" ვაი ჩვენი ცოდვა!.. ბოთლი ლიმონათი ხუთი შაური... აწი ეს ოხერი რიონი გერმანიიდამ მოდის?! რამდენი სიტკბო სჭირდება ორ ჭიქა წყლის, მარა რა კი დავარდა ხმა ყველაფერი ძვირიაო წყალიც გაძვირდა, შაური მუზიკას ორი შაური ხაზეინებს ორი შაური ლალიძეს და სხვის ხარჯზე მუსიკას ვისმენთ, სასაცილოა მარა არის, სულ ყველაფერი ჩვენ ხარჯზეა, ჩვენ ვღარიბდებით სხვები მდიდრდებიან. როცა დასუქდებიან, მერე ქალები დალეწვას მოუნდომებენ მერე ქალებს ცივი ქვეყნისკენ გალეწავენ და .. ჰე!

გავჩუმდე ისევე ის სჯობია, მარა რავა გავჩერდე როდესაც ქუთაისში აქ ქართველების დედა ქალაქში ვიღაც ტირაცუმები, შავრაზმელები თავიანთ ჭორიკანა გაზეთში ქართველების ლანძღვა გინების მეტს არას აკეთებენ.. ეს მოსათმენია?! არა ეს ქვეყნის ნაძირალნი, ეს ნათრევი მწერლები ეს „დანორჩიკები" რომელთაც მოუკალთავებიათ უპატრონო ქუთაისში გაიძახიან: „ქართველების კულტურა ჯერ არ გაგვიგონია" აფსუს?!

სომხური კულტურა ხომ გაუგონიათ! ვაი ბეჩასა ბედაურები დაიხოცენ ვირებს დარჩა მოედანიო! სწორედ ეგ არის მაინც და! წყევლოს ღმერთმა, ყოველი გიჟი, ყოველი გამოგდებული ჟურნალ-გაზეთებიდამ მწერლები, ყოველი გზა დაბნეული ტერაცუები ქუთაისში მოიყრის თავს, აბა ნახეთ თუ რომელიმე ქალაქში ამდენი უსაქმო ამდენ გიჟს შეხვდებით, რამდენიც ქუთაისში ჰო და ამდენი ამბის მნახველმა ვეღარ გავძელი ქუთაისში და ისედაც რაცხა ამ სიძვირის დროს კუჭმა გაფუჭება დამიწყო და მითხრეს, მისწრებაა ბორჟომის წყლების სმაო, გამოვსწიე ბორჟომში ვსვამ და ვსვაძ ამ ოხერ წყალს, მარა კუჭი გამიკეთდა კი არა, შენს მტერს, მე დღე მადგია კუჭს მარტო წყალი რავა მოარჩენს თუ კაი სასმელ-საჭმელი არ ჰამე თუ გინდა დასვენება, ბორჟომში უნდა ჩამოხვიდე, ყოველ დღე გაპიწკული, გაჯგიმული და გაჩისტული უნდა იარო, თუ ვინმეს რაიმე ჩინი და ორდენები აქვთ ყველას აქ აქვს ჩამოკოწიალებული, ქალებისას ნუღარ მკითხავთ: თუ კი სადმე პრანჭვა გრეხვაა, თუ კი სადმე მოდნებია, აქანა ნახავთ, მე ვსთქვი კაცო! აქანა აგარაკია, ხალხი დასასვენებლად არის ჩამოსრული, თუ ნევსკი პრასპეკტია თუ რაცხა ჯანდაბა, ის არისთქვა.

შესანიშნავია აქანა ცხოვრება, მხოლოდ პურს ვერ იშონით და თუ იშონე, ისიც ცომი; ალბათ წელის იმედი აქვთ თვარა შენს მტერს ცომმა პურმა კუჭს საქმე უქნას. აქ ცხოვრებას არაფერი ჯობია! კვნიტ შაქარს ვერ იშოვი თვარა, დიდებულია აქ ცხოვრება გირვანქა ხორცი თერთმეტი შაურია თვარა! ისე ყველაფერი იაფია, ვერაფერს ვერ იშონით თვარა, და რასაც ვერ იშონით იქ ხომ ფულიც არ იხარჯება. მე მგონია ბორჟომი უფრო ქალების და ვაჟების იარმუკა უნდა იყოს და განსაკუთრებით ბანქოს მოთამაშეთა აგარაკი დილიდამ დილამდი ბანქო და ბანქო. მერე მომეტებულათ ვინ თამაშობენ იცით?! ქალები, დიდება შენთვის ღმერთო, კაცო ამ ქალებს აღარც ქმრები ყავთ, აღარც მშობლები?!. რომ გაკტრდებიან, მერე ალბათ ლეწვა მტვრევას დეიწყებენ! ღმერთმა მშვიდობა მისცეთ ქართველი ქალები არ იყვენ თვარა ვეღარც აქანა გავძელი, ან რა ჯანდაბა გამაძლებიებს ჩაი მე ვერ ვიშოვე და შაქარი, პურს თუ ვიშონი ისიც ცომია, მარტო წყალის იმედით ვერ მივართვი, კმარა რა დღეც ამ წყალმა დამაყენა, აქანა თურმე მოდნების გულიზა მოდიან და მე რა მემოდნება, სული კბილით ძლივს მიჭირავს, ისევე ქუთაისში გრიგოლაშვილების „ბორჯომი" მირჩემნია მუცელს მაინც გამევიძღებ და ღვინოსაც ზედ დავაყოლებ, რა ვიცი, სამი წელიწადია ქუთაისის „ბორჯომში" დავდივარ, ვსვამ ვჭამ რა გინდა სულო და გულო, მრავალ ჟამიერს და „სუსტია და ვერ იარს" რომ შამოვძახებ ბრიგადის ბიჭებთან, არც კუჭი ამტკივდება და არც არაფერი. მე ასე მეგონა კუჭი მტკივათქვა და იმიტომ წამევედი. თურმე კუჭი ქვასავით მქონია და აქანა გამიფუჭდა.

ისევ ჩემი ქუთაისი, წამევიკიდებ ჩემ გუდა ნაბადს და ამ დღეებში გავჩნდები, თუ ღმერთმა ქნა და პოვეზდის ბილეთი ვიშონე. დანარჩენს რო ჩამოვალ მაშინ გიტყვიყე..

ფილიპე ბარბაქაძე.

ბორჯომი 3 აგვისტო.

---

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო"**

---



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 | წ |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 20 | „ |

---


# ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი [illegible] ლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი"**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი უერდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)



# სუსუნატი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ ხარისხოვანი **„გონოზანით"**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია თბილისის, რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია**: თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უებარი საშუალებაა. ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შეშხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შესაშხაპუნებელი ღირს [illegible] მანეთი. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ თბილისი** თხინვალის ქუჩა № 12, მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул , № 12 отд. 1



# რევმატიზმი (ქარები) და „შარდის სიმჟავე".

რა არის რევმატიზმის (ქარების) მიზეზი? შეიძლება თუ არა ჩაითვალოს მის მიზეზად უხილავი ცოცხალი არსება (მიკრობი) ან საჭმელის მონელების დროს წარმოშობილი საწამლავი? გადადის თუ არა ეს სენი მემკვიდრეობით?

ახლა ამ საძიებელის შესახებ ყველა იმ აზრის არის, რომ ყოველს ათ შემთხვევაში ცხრა – ეგრეთწოდებული „შარდის სიმჟავის" სიჭარბის შედეგია.

მაშასადამე, რევმატიზმისაგან განკურნებისათვის საჭიროა განვაქარწყლოთ „შარდის სიმჟავე", ან „ურატები", ან დავიჭიროთ თავდარიგი, რომ ეს ნივთიერებანი არ გაჩნდენ სხეულში.

ტანმთელი კაცის სისხლში ერთობ ცოტაა შარდის სიმჟავე, ამ სიმჟავის ნატრი, კალი, ხანდახან ამ სიმჟავის კალცი და ამმონი.

თუ სხეულში ჩნდება ხსენებული ნივთიერებანი საშუალზე მეტი (50 სანტიგრამმიდან 2 გრამმამდის), ეს სიჭარბე მავნებელია.

ამ სიმჟავის მარილები გამჯნიან, გაჟღენთავენ სხეულის ქსოვილებს, გააშეშებენ სახსრებს, გააქვავებენ სისხლის მილების კედლებს და შეამცირებენ სხეულის კვებას, საზრდოობას. აქედან იშობებიან: ნერვების ტკივილები (ნევრიტი), ნაღვლის ქვები, საშარდის ქვები, ეგრეთწოდებული პოდაგრა და ქარები. ამ სენით შეპყრობილ ავადმყოფს, რომ სისხლი გაართვათ და შიგ ძაფი ჩასდვათ, ძაფი დაიფარება შარდის სიმჟავის მარილების ბროლებით (კრისტალლებით).

და, თუ ავადმყოფმა თადარიგი არ დაიჭირა და მისი სხეული ამ მარილების სიჭარბეს შეიცავს, უნდა ვეცადოთ, რომ სხეული ხსენებული მარილებისაგან განვათავისუფლოთ.

ეს აზრებია გამოთქმული ამ საძიებელის ავტორიტეტის „სოლო—ლებოვიცის"—მიერ მის დიდ თხზულებაში—„შარდის სიმჟავე ორგანიზმში"—(დაბეჭდილია Journal des Practicie"-ში).

დოქტორი სოლო—ლებოვიცი იძლევა შვენიერ დარიგებას იმის შესახებ, თუ რამდენად საშიშარია ამ გვარი ავადმყოფთათვის ხორცის გადამეტებული ჭამა, სპირტი (ანუ ღვინო), ყავა, ჩაი, შოკოლადი და სხვა ნივთიერებანი, რომელნიც შეიცავენ ეგრეთწოდებულ „პურინებს".

მაგრამ, თუ ავადმყოფმა დროზე თადარიგი ვერ დაიჭირა მისი სხეული გამაძღაუია შარდის სიმჟავით და თირკმლებს მუშაობა გაძნელებიათ. მაშინ აუცილებელია ვიხმაროთ ისეთი საშუალება, რომელიც ხსნის ამ სიმჟავეს სხეულში.

აქამდის ამ ნივთიერებათა კარგად გამხსნელი საშუალება არ მოიპოვებოდა. ახლა კი გვაქვს: ეს არის „შატელენის უროდონალი". ეს შესანიშნავი საშუალება შესდგება: მეტილ—მიოქ აღიდინისა, ქინის მარილისა, პიპერაზინისა და ჰქესამეტილენ—ტეტრამინისაგან. გარეგნობით ეს წყალში ადვილად შინშხლებით გასახსნელი ფხვნილია.

ყველა პროფესორის მოწმობით ამ საშუალების მოქმედება სასწაულებრივია და ეს მოქმედება მით აიხსნება, რომ მისი შემადგენელი ნაწილები მოქმედების დროს ერთმანეთს შველიან. ამას გარდა ჰექსამეტილენ – ტეტრამინი დაიშლება ამმონის სიტუტედ (ამიაკად) და ფორმალდეგიდად, რომელსაც წყლულის მოშველებისთვის მოცილე არა ჰყავს.

რადგან უროდონალის ნაწილები ერთმანეთს შველიან, ეგრეთწოდებული სინერგიის კანონის თანახმად,—უროდონალი 37-ჯერ უკეთ ხსნის შარდის სიმჟავეს, ვიდრე ლიტის მარილები.

მეორე მხრით უროდონალს ის დიდი უპირატესობა აქვს სალიცილატებსა და ასპირინზე, რომ სრულიად არა სწამლავს სხეულს და უვნებელია, ბევრიც რომ მიიღოს და რამდენ ხანსაც უნდა მიიღოს ავადმყოფმა და, მაშასადამე, სრულიად არ არის საშიშარი გულის, კუჭის, თირკმლებისა და ტვინისთვის.

ყველა ექიმი, რომელმაც კი უროდონალის მოქმედება გამოსცადა, ამბობს, რომ უროდონალი არა თუ კარგად ხსნის შარდის სიმჟავეს, არამედ კარგადაც გამოაქვს ეს სიმჟავე თირკმლებიდან შარდთან ერთად.

ოროდონალით მკურნალობის ოფიციალურად მიღებული კურსი 3 თვეს გრძელდება და თვეში ავადმყოფმა 1—2 ფლაკონი უნდა მიიღოს. ამგვარი მკურნალობა სრულიად სწმენდს სხეულს შარდის სიმჟავისაგან.

დოქტორი **ლორიანი.**

P. S. შატელენის უროდონალი იყიდება ყველა აფთეკასა და აფთეკის მაღაზიაში. ერიდეთ შემოტყუებას, ფალსიფიკაციას, და მოითხოვეთ ფირმა „შატელენ".